სათანადო საცხოვრისი სტუდენტებისთვის

გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

სათანადო საცხოვრისი სტუდენტებისთვის

გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2023

დოკუმენტი მომზადებულია ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მიერ მხარდაჭერილი პროექტის – „ღირსეული შრომის ანაზღაურებისა და ხელმისაწვდომი საცხოვრისის ადვოკატირება“ – ფარგლებში. მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ხელმძღვანელი: თათული ჭუბაბრია

მკვლევარი: მარიამ ჯანიაშვილი

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარიამ ჯანიაშვილი, „სათანადო საცხოვრისი სტუდენტებისთვის - გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი....4

1. სტუდენტების ხელმისაწვდომობა საცხოვრისზე - გამოწვევები (საქართველოს კონტექსტი) 5

1.1. ძირითადი კონტექსტის მიმოხილვა....5

1.2. საცხოვრისის ხელმისაწვდომობის სირთულეები სტუდენტებისთვის....7

1.3. დისტანციური სწავლება და სტუდენტური პროტესტი....9

2. სტუდენტების საცხოვრისით უზრუნველყოფა - სახელმწიფოს არარსებული პრიორიტეტი?....11

3. ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა....17

3.1. სახელმწიფოთა ზოგადი პრაქტიკა....18

3.2. კერძო აქტორების როლის მიმოხილვა....22

დასკვნა - რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას უახლოეს მომავალში?....23

შესავალი

სათანადო საცხოვრისის უზრუნველყოფა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა საქართველოში. წლების მანძილზე მთავრობას არ უზრუნია, შეექმნა ერთიანი პოლიტიკა, სტრატეგია, საკანონმდებლო ჩარჩო და სერვისები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და მიზნად დაისახავდა მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიუხედავად საკითხზე მომუშავე არაერთი სუბიექტის რეკომენდაციისა, უსახლკარობისა და საცხოვრისის საჭიროების მიმართულებით საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ მოუხდენია პრობლემის მასშტაბის, ფორმებისა და გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება. რელევანტური მონაცემებისა და პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში, შეუძლებელი ხდება ადამიანებისათვის მათ საჭიროებებზე მორგებული საცხოვრისის მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფაში სახელმწიფოს ვალდებულებაზე ხაზგასმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ეს უფლება სცდება ადამიანების მხოლოდ ფიზიკური გარემოთი დაკმაყოფილების საკითხს და პრაქტიკულად ყველა უფლებისა და თავისუფლების განხორციელების წინაპირობაა - მათ შორის, განათლებასთან და დასაქმებასთან წვდომასთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოში საცხოვრისის გარანტირება მუდმივად მწვავე პრობლემას წარმოადგენს, რასაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს სახელმწიფოს უმოქმედობა, შექმნას პოლიტიკა და ეფექტიანი სერვისები. მთავრობის მხრიდან სფეროს უგულებელყოფის პირობებში, საზოგადოებისათვის პერიოდულად მწვავედ წარმოჩნდება საცხოვრისის საჭიროებები სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებით, რომელთა გადაწყვეტა ან საერთოდ არ ხდება,[1] ან გადაწყვეტის გზების ეფექტიანობა მნიშვნელოვანი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.[2] ამასთან, ცალკეული მუნიციპალიტეტები გარკვეულ უსახლკარო ჯგუფებს მწირ და ფრაგმენტულ მხარდაჭერას სთავაზობენ, რაც ვერ უზრუნველყოფს მათი უსახლკარობის მდგომარეობიდან ამოსვლასა და დამოუკიდებელ ცხოვრებას. მეორე მხრივ, სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ ახორციელებს საცხოვრისის იმ ადამიანებისთვის უზრუნველყოფას, რომლებიც ამგვარი საჭიროება გააჩნიათ და შესაძლოა, უკიდურეს სოციალურ-ეკონომიკურ მოწყვლადობას არ განიცდიდნენ, თუმცა, ბაზარზე არსებულ საცხოვრისთან ფინანსურად წვდომა არ აქვთ ან მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე დგანან.

უკანასკნელ პერიოდში, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ პრობლემად საცხოვრისზე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების წვდომა გამოიკვეთა, რაც ამ ჯგუფის ფართომასშტაბიან პროტესტში გადაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროტესტმა მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაპირობები შექმნა.

მოცემული დოკუმენტის მთავარ მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, მიმოიხილოს საქართველოს კონტექსტი და არსებული გამოწვევები საცხოვრისთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების წვდომასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, გააანალიზოს საერთაშორისო გამოცდილებები, რაც, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ხედვების ჩამოყალიბების პროცესში ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის მოსაგვარებლად.

---

[1] მაგალითად, გამოსახლებას დაქვემდებარებული პირების მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

[2] მაგალითად, არაკონვენციურ ნაგებობებში უნებართვოდ მცხოვრები პირებისათვის ფართების საკუთრებაში გადაცემა.

1. სტუდენტების ხელმისაწვდომობა საცხოვრისზე - გამოწვევები (საქართველოს კონტექსტი)

საცხოვრისზე ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხები საქართველოში ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა, ვინაიდან საცხოვრისი არა სოციალური კონსტრუქტი, არამედ ფუფუნების საგანი, ე.წ. ფინანსიალიზაციის ობიექტი გახდა. სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით, სადაც მიმდინარე ინფლაცია, რუსეთიდან და ბელარუსიდან დიდი რაოდენობით ვიზიტორების შემოდინება და მათ მიერ უძრავი ქონების შეძენის უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, საქართველოს მოსახლეობას საცხოვრისზე ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა. ეს პრობლემა კი იმ ჯგუფების წინაშე კიდევ უფრო მწვავედ დადგა, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლადები, უმუშევრები ან/და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულნი არიან და რომელთა შემოსავალიც ვერ უმკლავდება ბინების გაზრდილ ღირებულებას. ერთ-ერთი ასეთ ჯგუფია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები.

1.1. ძირითადი კონტექსტის მიმოხილვა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, სტუდენტების რაოდენობა უკანასკნელ წლებში მატულობს.

დიაგრამა 1. სტუდენტთა საერთო რაოდენობა სასწავლო წლების მიხედვით



ამჟამად საქართველოში 62 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. აქედან 33 უნივერსიტეტია, 20 – სასწავლო უნივერსიტეტი, 2 – კოლეჯი, ხოლო 7 – მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ზემოაღნიშნული დაწესებულებების 69 %-ზე მეტი თბილისშია განთავსებული.

დიაგრამა 2. ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების გადანაწილება საქართველოს მასშტაბით



სამწუხაროდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ აქვეყნებს მონაცემებს თბილისსა თუ სხვა მსხვილ ქალაქებში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში იმ სტუდენტების რაოდენობის შესახებ, რომელთაც განათლების მისაღებად სხვადასხვა რეგიონიდან მობილობა უწევთ, რათა დაახლოებით მოხდეს საცხოვრისის სავარაუდო საჭიროების მქონე პირთა რაოდენობის იდენტიფიცირება. თუმცა, სხვადასხვა ტიპის მონაცემი მიუთითებს, რომ ამგვარი საჭიროების მქონე ადამიანების რაოდენობა მაღალია. მაგალითისთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემებით, 22 000-ზე მეტი სტუდენტიდან 10 000-მდე საქართველოს რეგიონებიდანაა.[3]

მეორე მხრივ, წლების მანძილზე იზრდება უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც უმაღლესი განათლების მისაღებად საქართველოს უნივერსიტეტებში ირიცხებიან. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მათი რიცხვი 2021-2022 სასწავლო წლისათვის ჯამში 17 501-ს შეადგენდა, რაც 2016-2017 წლებთან შედარებით (8 012 სტუდენტი) პრაქტიკულად ორჯერ მეტია.[4]

ზოგადი სტატისტიკური მონაცემების პარალელურად, მნიშვნელოვანია იმ კვლევებზე ხაზგასმაც, რომელიც საქართველოში სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეხება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია „ევროსტუდენტის“ კვლევები, რომელთა მიხედვითაც,

- საქართველოში სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი დაახლოებით 46%-ს შეადგენს, რაც ევროპის მასშტაბით საკმაოდ დაბალი მონაცემია. თუმცა, მომუშავე სტუდენტთათვის ანაზღაურება მათი შემოსავლების ძირითად წყაროა;
- სტუდენტების 48%-ის დასაქმების მიზანი საცხოვრებელი ხარჯების დაფარვაა, ამასთან, 42%-ის მიზანს მესამე პირების მხარდაჭერა წარმოადგენს;
- დასაქმებული სტუდენტები კვლევით დაფარულ ევროპის 26 ქვეყანასთან შედარებით ყველაზე ნაკლებ დროს (საშუალოდ 27 საათი კვირაში) გამოყოფენ სწავლისთვის და ყველაზე მეტ ხანს (საშუალოდ 28 საათი კვირაში) მუშაობენ. ეს მონაცემი კვლევით დაფარული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს ორჯერ აღემატება;

[3] რადიო თავისუფლება, „რა სურთ თსუ-ს სტუდენტებს - პროტესტის ორი თვე“, 13.06.2022, https://bit.ly/3tfyjYe.

[4] იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „უმაღლესი განათლება’’, https://bit.ly/3zTLQbu.

- სტუდენტების 35 %-ს გააჩნია ძალიან სერიოზული ან/და სერიოზული ფინანსური გამოწვევები და არის მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ მოწყვლადობაში;
- საქართველოში, ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მწირია სტუდენტური საცხოვრისების წილი და ამგვარი ტიპის საცხოვრისში სტუდენტების საერთო მოცულობის 3 % ცხოვრობს.[5]

1.2. საცხოვრისის ხელმისაწვდომობის სირთულეები სტუდენტებისთვის

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქალაქო დასახლებებში მიმდინარე წლის აპრილიდან მკვეთრად გაიზარდა ბინის ქირავნობის საფასური, რამაც საცხოვრისის ფინანსური ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი პრობლემები გააჩინა.

დიაგრამა 3. ბინის დაქირავების საშუალო ღირებულება საქართველოს სამ უმსხვილეს ქალაქში (1 კვ.მ-ის დაქირავების საშუალო წლიური საფასური)



	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
თბილისი	11.06	11.02	12.13	12.79	13	12.93	12.36	14.21	13.56	11.77	15.29
ბათუმი	10.46	12.95	12.14	12.24	11.16	10.52	10.99	10.99	11.12	11.33	12.03
ქუთაისი	3.79	4.19	3.95	3.83	5.05	5.72	6.09	8.47	8.6	8.64	10.79

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პარალელურად, უძრავი ქონების დაქირავების საფასურის კვლევას სხვადასხვა მეთოდოლოგიით ახორციელებენ კერძო კომპანიები. ერთ-ერთ ასეთ სუბიექტს წარმოადგენს „TBC კაპიტალი“, რომლის ყოველთვიური კვლევები აჩვენებს იმ უმძიმეს მდგომარეობას, რაც თბილისში საცხოვრისის დაქირავების მიმართულებით არსებობს. როგორც უკანასკნელი მონაცემები უჩვენებს, 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით, 2022 წლის ოქტომბერში უძრავი ქონების დაქირავების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა და ცალკეულ უბნებში გასამმაგდა კიდეც.[6]

[5] Eurostudent, Eurostudent VII Synopsis of Indicators 2018 – 2021, 2021, გვ. 131, 146, 153, 155, 158, 184 – 185, 229 - 230.
[6] TBC Capital, Tbilisi Residential Real Estate: Focus on 27 Districts, December 2022, https://bit.ly/3We07Jk.

ცხრილი 1. ბინის დაქირავების საშუალო ღირებულების ზრდა თბილისის უბნებში, 2022 წლის ოქტომბერში, 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით (1 კვ.მ-ის ღირებულება)

60-79 %-იანი ზრდა

- სოლოლაკი (67 %)
- ბაგები (78 %)

80 - 99 % - იანი ზრდა

- ვაკე (80 %)
- მთაწმინდა (88 %)
- ვერა (93 %)

100 - 119 % - იანი ზრდა

- საბურთალო (114 %)
- ვაჟა - ფშაველა (115 %)
- ავლაბარი (118 %)

120 - 139 % - იანი ზრდა

- თემქა (120 %)
- სანზონა (121 %)
- მუხიანი (123 %)
- ჩუღურეთი (130 %)
- დიდუბე (130 %)
- სამგორი (130 %)
- კრწანისი (132 %)
- ნაძალადევი (132 %)
- დიდი დიღომი (134 %)
- ორთაჭალა (135 %)

140 - 159 % - იანი ზრდა

- გლდანი (142 %)
- ვეძისი (144 %)
- "პლეხანოვი" (144 %)
- ისანი (149 %)
- ნუცუბიძე (149 %)
- ვარკეთილი (151 %)

160 - 179 % - იანი ზრდა

- დიდი დიღომი (166 %)
- ვაშლიჯვარი (178 %)

180 - 199 % - იანი ზრდა

- ვაზისუბანი (196 %)

ბინის დაქირავების ალტერნატივას სტუდენტური საცხოვრებლები წარმოადგენს, რომელთა ფუნქციონირებაც ქვეყანაში მნიშვნელოვნად პრობლემურია. ამჟამად ამგვარი ტიპის საცხოვრებლები თბილისში მხოლოდ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - თსუ) ბაზაზე – ლისისა და ბაგების ტერიტორიაზე - ფუნქციონირებს, თუმცა პრობლემაა თავისუფალი ადგილების არარსებობა[7] და სტუდენტებისთვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის შეუძლებლობა. ეს უკანასკნელი თვითონ უნივერსიტეტმაც დაადასტურა, რომელმაც 2022 წლის შემოდგომაზე მიუთითა, რომ ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ბაგებში არსებული შენობა ფართომასშტაბიან სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს, რაც ახალი შენობის მშენებლობაზე ძვირიც კი ჯდება.[8]

ბაგების საერთო საცხოვრებელი. ფოტო - „ნეტგაზეთი“

1.3. დისტანციური სწავლება და სტუდენტური პროტესტი

მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრისის საკითხი წლების მანძილზე იდგა სტუდენტების წინაშე,[9] პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიის შედეგად. 2020 წლის გაზაფხულზე, საქართველოს მთავრობამ, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტების ფიზიკურ სივრცეში სწავლების შეჩერებასა და მთლიანად ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით.[10] შესაბამისად, უმაღლესი განათლების მისაღებად სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ სტუდენტებს აღარ უწევდათ დედაქალაქსა თუ მსხვილ ქალაქებში მობილობა, საცხოვრისის დაქირავება და განათლების მიღება ონლაინ საშუალებების გამოყენებით, მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილებიდან შეეძლოთ.

დისტანციური სწავლების რეჟიმი 2022 წლის მაისამდე გაგრძელდა – თსუ-მ განაცხადა, რომ აუდიტორიებში სწავლა 2 მაისიდან განახლდებოდა. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებას არაერთი სტუდენტი პროტესტით შეხვდა და განაცხადა, რომ ბინების დაქირავების საფასურის მკვეთრი მომატების ფონზე, ასევე, მაშინ, როდესაც სწავლის დასრულებამდე მხოლოდ რამდენიმე კვირა[11] იყო დარჩენილი, მათთვის ბინის შოვნა და ფიზიკური ფორმით სწავლის გაგრძელება ფაქტობრივად

[7] ნეტგაზეთი, „განათლების მიღმა ვრჩებით“ — ვინ და რატომ აპროტესტებს აუდიტორიებში სწავლის განახლებას“, 18.04.2022, https://bit.ly/3W0laPo.

[8] ნეტგაზეთი, „რა ეტაპზეა თსუ-ს ახალი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის საკითხი“, 19.11.2022, https://bit.ly/3FWMk4g.

[9] მაგალითად, იხ., ნეტგაზეთი, „რა პირობებში ცხოვრობენ თსუ-ის სტუდენტები სტუდქალაქში [ფოტო]“, 4.05.2016, https://bit.ly/3WeLGnM.

[10] COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020, გვ. 24, 42, 73, https://bit.ly/3UYxZIO.

[11] შენიშვნა: სწავლება ფაქტობრივად 13 ივლისს სრულდებოდა.

შეუძლებელი ხდებოდა, რაც, საბოლოო ჯამში, მათ უმაღლესი განათლების მიღმა ტოვებდა.[12] მიუხედავად სტუდენტების წინაშე არსებული უდიდესი გამოწვევებისა, თსუ უარს აცხადებდა ჰიბრიდული სწავლების რეჟიმის ამოქმედებაზე, ერთი მხრივ, რესურსების ნაკლებობის, ხოლო, მეორე მხრივ, დისტანციური ან/და ჰიბრიდული სწავლების ფორმის არჩევის შემთხვევაში მიღებული განათლების დაბალი ხარისხის გამო.[13]

უნივერსიტეტის მიერ პრობლემის გადაწყვეტის შეუძლებლობისა და სტუდენტებთან ეფექტიანი კომუნიკაციის არარსებობის პირობებში, სტუდენტებმა აქციები დაგეგმეს,[14] ასევე, შექმნეს სპეციალური პეტიცია და ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს.[15] პროტესტის შედეგად, თსუ-ს რექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება, 2022 წლის მაისიდან სასწავლო პროცესის (დარჩენილი სემესტრის) ჰიბრიდულ რეჟიმში წარმართვასთან დაკავშირებით, თუმცა, ფაკულტეტი თავად გადაწყვეტდა, რამდენად აირჩევდა მოცემულ რეჟიმს.[16]

პროტესტის მეორე ტალღა 2022 წლის შემოდგომიდან დაიწყო, როდესაც, სასწავლო პროცესის დაწყების მოახლოებასთან ერთად, უძრავ ქონებაზე გაზრდილი საფასურის გათვალისწინებით, სტუდენტებს საცხოვრისზე ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დაუდგათ და მათმა დიდმა ნაწილმა კვლავ ვერ შეძლო ბინის დაქირავება. როგორც სტუდენტები აღნიშნავდნენ, საცხოვრისი მათთვის ფინანსურად ხელმისაწვდომი მუშაობის პირობებშიც (რაც, თავის მხრივ, მწვავედ აისახება სწავლის ხარისხზე) კი არ იყო.[17] მოცემულ ფონზე, მაისის სტუდენტური მოძრაობის ორგანიზებით თსუ-ში საპროტესტო აქციები გაიმართა, რომლის მთავარ მოთხოვნებსაც სტუდენტური საცხოვრისის აშენება, სტუდენტებისთვის საბინაო სუბსიდიის გამოყოფა და რექტორის არჩევის წესის ცვლილება გახლდათ.[18]

ხანგრძლივი სტუდენტური პროტესტის შედეგად, თსუ იწყებს სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობას. საცხოვრისის პროექტებზე ინტენსიური მუშაობა დააანონსა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმაც.

მაისის სტუდენტური მოძრაობა აცხადებს, რომ თსუ-ს ნაბიჯი მნიშვნელოვანი, თუმცა არასაკმარისი ღონისძიებაა საცხოვრისის საჭიროების მქონე სტუდენტების დასაკმაყოფილებლად და არსებითია, პროცესში სახელმწიფო ჩაერთოს.

---

[12] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი სოლიდარობას უცხადებს თსუ-ს სტუდენტებს“, 2022, https://bit.ly/3FVClfl; ნეტგაზეთი, „განათლების მიღმა ვრჩებით“ — ვინ და რატომ აპროტესტებს აუდიტორიებში სწავლის განახლებას“, 18.04.2022, https://bit.ly/3W0laPo.

[13] ნეტგაზეთი, „განათლების მიღმა ვრჩებით“ — ვინ და რატომ აპროტესტებს აუდიტორიებში სწავლის განახლებას“, 18.04.2022, https://bit.ly/3W0laPo.

[14] მაგ., იხ. https://bit.ly/3HEe2UA; ნეგტაზეთი, „სტუდენტებმა თსუ-სთან აქციის შემდეგ დროებით გზა გადაკეტეს“, 28.04.2022, https://bit.ly/3hzbkF3; რადიო თავისუფლება, „რა სურთ თსუ-ს სტუდენტებს - პროტესტის ორი თვე“, 13.06.2022, https://bit.ly/3tfyjYe.

[15] პეტიცია - „არა 2 მაისს აუდიტორიებში“, https://bit.ly/3FS8dBE.

[16] ნეტგაზეთი, „13 მაისიდან სწავლა შერეული ფორმატით წარიმართება — თსუ“, 11.05.2022, https://bit.ly/3uUblqo; ნეტგაზეთი, „ თსუ-ში სტუდენტებმა კანცელარია დაიკავეს და რექტორთან შეხვედრას ითხოვენ“, 31.05.2022, https://bit.ly/3WaOthU.

[17] მაგ., იხ. ნეტგაზეთი, „რა ეშველებათ სტუდენტებს — სწავლა იწყება, ბინები კი კვლავ ძვირია“, 15.09.2022, https://bit.ly/3jae3VO.

[18] ნეტგაზეთი, „თსუ-ში სტუდენტების ნაწილმა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა მოითხოვა“, 19.09.2022, https://bit.ly/3j5verQ; ნეტგაზეთი, „საცხოვრებელი სტუდენტებს“ — წულუკიანის ვიზიტი თსუ-ში პროტესტის ფონზე“, 3.11.2022, https://bit.ly/3FUYUAY.

2. სტუდენტების საცხოვრისით უზრუნველყოფა - სახელმწიფოს არარსებული პრიორიტეტი?

როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე სტუდენტები და, ზოგადად, ახალგაზრდები, საცხოვრისზე წვდომის მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. ზემოაღნიშნულ საჭიროებას ქვეყნები სხვადასხვა მეთოდით უმკლავდება, თუმცა საქართველოში ღირსეული სტუდენტური საცხოვრისით უზრუნველყოფა ჯერ კიდევ არ გარდაქმნილა სახელმწიფოს სისტემური პოლიტიკის ღონისძიებებში და არ გამხდარა სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის საგანი.

სტუდენტების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცესის ერთ-ერთ ძირეულ სისტემურ დაბრკოლებას ქვეყანაში საცხოვრისის პოლიტიკის არარსებობა წარმოადგენს, რაც, მათ შორის, უკიდურესად ხარვეზიან კანონმდებლობაში, ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობასა და მწირ და არაეფექტიან სერვისებში გამოიხატება.[19] სამწუხაროდ, მიუხედავად საჭიროებისა და ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმით[20] აღებული ვალდებულებისა, სახელმწიფომ ვერ შეძლო, ჩამოეყალიბებინა პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც გაწერდა ამ სფეროში მთავრობის მიერ მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივებში გადასადგმელ ნაბიჯებს, გამოყოფდა სამიზნე ჯგუფებს (მათ შორის, სტუდენტებს) და მათთან მიმართებით დაგეგმილ ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ საერთო პოლიტიკის არარსებობის პირობებში, ცალკეული მუნიციპალიტეტები ახორციელებენ პოლიტიკის მწირ და ფრაგმენტულ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროებათა კვლევაზე არ არის დაფუძნებული და ხშირად მინიმალურ დონეზეც კი ვერ პასუხობს მოსახლეობის წინაშე არსებულ გამოწვევებს. კერძოდ,

- უკიდურესი გამონაკლისების გარდა, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ საბინაო ფონდი და ხელმისაწვდომი საცხოვრისის მექანიზმები;[21]
- ცალკეულ მსხვილ ქალაქებში[22] ფუნქციონირებს სოციალური საცხოვრისის სერვისი, თუმცა, მასში ჩართვის წინაპირობას ადამიანის ან შინამეურნეობის უსახლკაროდ რეგისტრაცია წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაწესებულ უამრავ წინაპირობასთან ერთად, სერვისის გამცემ მუნიციპალიტეტში წლების მანძილზე რეგისტრაციასა და საცხოვრისის არქონას მოითხოვს, რაც, ნათელია, რომ სტუდენტების საჭიროებებს ვერ მოერგება. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში რეგისტრაციის მოთხოვნების არარსებობის პირობებშიც კი სტუდენტებისთვის მოცემული სერვისის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ამგვარ საცხოვრისებში თავისუფალი ადგილების არარსებობის გამო.[23]

---

[19] მაგალითად, იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სად არის პრობლემები საცხოვრისის პოლიტიკაში? 2020, https://bit.ly/3jgeTAJ; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, უსახლკარობა - სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი, 2016, https://bit.ly/3Yw5h4R; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, უფლება სათანადო საცხოვრისზე - ძირითადი გამოწვევების ანალიზი, 2018, https://bit.ly/3hzDMXp.

[20] საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის N 537 დადგენილება „ღია მმართველობა საქართველოს 2018 – 2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

[21] საბინაო ფონდის ჩამოყალიბების გარკვეული ღონისძიებები თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებში არის მიღებული, ხოლო ე.წ. იაფი სახლის პროგრამას ბათუმის მუნიციპალიტეტი ახორციელებს.

[22] თბილისის, რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, გორის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტები.

[23] იხ., მაგალითად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, უსახლკარო ჯგუფების საცხოვრისით უზრუნველყოფის პრაქტიკა - რა არის ქალთა განსაკუთრებული საჭიროებები? 2022, გვ. 25, https://bit.ly/3WcLBSa; საქართველოს სახალხო

- მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილში ფუნქციონირებს ბინის ქირით უზრუნველყოფის სერვისი, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრისის ქირის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვას. მიუხედავად ამგვარი მექანიზმის მნიშვნელობისა, მისით სარგებლობის წინაპირობაც სერვისის გამცემ მუნიციპალიტეტში რეგისტრაციაა, რაც პროგრამის მიერ რეგიონებში მცხოვრები სტუდენტების მოცვის შესაძლებლობას სპობს.

საბოლოო ჯამში, პოლიტიკის არარსებობა და სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი როლის იგნორირება ყველაზე მწვავედ კვლავ სტუდენტებსა და მათ ოჯახებზე აისახება, რადგან მთელი ტვირთი სწორედ მათზე გადმოდის და საცხოვრისით უზრუნველყოფა მათ პირად პასუხისმგებლობად აღიქმება.

საცხოვრისის ისედაც მწირი სერვისების მიერ სტუდენტების საჭიროებების უგულებელყოფის პირობებში, არსებობს, თუმცა არაერთგვაროვანია, მუნიციპალიტეტების მხარდამჭერი პოლიტიკის ღონისძიებები მის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მიმართ. სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მხარდაჭერის მიზნით არსებული პროგრამების იდენტიფიცირებისათვის, კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული მექანიზმები სტუდენტების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას, ტრენინგებსა და შეხვედრებში მონაწილეობას, ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხებს ეხება, თუმცა, საკვლევი თემის შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ პროგრამების იდენტიფიცირება მოხდა, რომლებიც სტუდენტების წინაშე არსებულ ფინანსურ სირთულეებს ეხება და არ მოიცავს სხვა მიმართულებებით მათ გაძლიერებასა და მხარდაჭერას, მათ შორის, არც პროფესიული გაძლიერების ჭრილში.

ცხრილი 2. მუნიციპალიტეტების 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები სტუდენტებისთვის

მუნიციპალიტეტი	მხარდაჭერის ღონისძიება
თბილისი	სოციალურად დაუცველი სტუდენტების, შშმ სტატუსის მქონე სტუდენტებისა და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება.
ბათუმი	- სტიპენდია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის (1000 ლარი); - ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება; - საქალაქო სამგზავრო ავტობუსით ქალაქის ფარგლებში მგზავრობის ხარჯების სრული სუბსიდირება.
რუსთავი	- მუნიციპალიტეტში მცხოვრები და არანაკლებ 2 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გარკვეული ჯგუფების *(1. სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, 150 001 ქულაზე ნაკლების მქონე; 2. შშმ სტატუსის მქონე პირი; 3. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე)* წარმომადგენელი სტუდენტების დახმარება თვეში 60 ლარის ოდენობით;

დამცველი, საცხოვრისის სერვისების განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში, 2022, გვ. 36 – 37, 52 – 53, https://bit.ly/3PGy7vh.

	- მუნიციპალური ტრანსპორტის ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირება; - მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსება.
ფოთი	- სოციალურად დაუცველი (100 001 ქულაზე ნაკლების მქონე) სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემა 1 000 ლარის ოდენობით. - სტიპენდია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სემესტრულად 500 ლარის ოდენობით.
ადიგენი	სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა.[24]
ამბროლაური	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 65 001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურება.
ახალქალაქი	საბაკალავრო საფეხურზე სწავლის საფასურის 50 %-ის დაფინანსება, არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით. მხარდაჭერის ბენეფიციარები არიან: *მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი; ობოლი/მარჩენალდაკარგული (25 წლამდე); მრავალშვილიან ოჯახში (4 ან მეტი შვილი) მცხოვრები (25 წლამდე); სოციალურად დაუცველ ოჯახში მცხოვრები; იმ ოჯახში მცხოვრები, სადაც სამი ან მეტი სტუდენტია.*
ახალციხე	მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების დაფინანსება მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიით.[25]
ბოლნისი	- ცალკეული კატეგორიების სტუდენტების ყოველთვიური დახმარება - *1. ობოლი და მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან (50 ლარი); 2. დევნილი ოჯახებიდან (50 ლარი); 3. სოციალურად დაუცველ ოჯახში მცხოვრები (რომელთაც 100 001 - ზე ნაკლები ქულა მიენიჭათ მიმდინარე ან გასული წლის მანძილზე; 50 ლარი); 4. მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი; 50 ლარი); 5. ოჯახებიდან, რომელთაც ჰყავთ ორი ან მეტი სტუდენტი (თითოეულს 50 ლარი); 6. შშმ სტუდენტები (100 ლარი); 7. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, რომელიც სტუდენტი გახდა (100 ლარი) (შენიშვნა: ზემოაღნიშნული სამი ან მეტი კატეგორიის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, სტუდენტები დაფინანსდებიან ყოველთვიურად 70 ლარის ოდენობით).* - წარჩინებული სტუდენტების ფულადი დახმარება, ყოველთვიურად 50-100 ლარის ოდენობით.
გარდაბანი	ცალკეული კატეგორიების *(1. დედ-მამით ობოლი სტუდენტები; 2. მრავალშვილიანი ოჯახის წევრი; 3. სოციალურად დაუცველ ოჯახში მცხოვრები)* 25 წლამდე სტუდენტების ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.
გორი	ცალკეული კატეგორიის სტუდენტებისთვის *(1. სოციალურად დაუცველი (120 001 ქულაზე ნაკლების მქონე), 2. სხვა სახელმწიფო პროგრამით არმოსარგებლე ან/და 3. სწავლის დაფინანსებაზე 50 ან 70 % სახელმწიფო გრანტის მქონე)* სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 ლარის ოდენობით.
გურჯაანი	ცალკეული კატეგორიების *(1. სოციალურად დაუცველ ოჯახში (150 001 ქულაზე ნაკლების მქონე) მცხოვრები ობოლი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი ან მარტოხელა მშობლის სტუდენტი შვილი); 2. დედ-მამით ობოლი სტუდენტი)* სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება (წლიური ლიმიტი - 1 000 ლარი).
დმანისი	ქ. დმანისიდან ქ. თბილისის და ქ. თბილისიდან ქ. დმანისის მიმართულებით გადაადგილება კვირაში ორი დღე, ხოლო კვირა საღამოს ერთი მიმართულებით გადაადგილება ქ. დმანისიდან ქ. თბილისის მიმართულებით გადაადგილების უზრუნველყოფა.

[24] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

[25] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

ვანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი (100 001 ქულაზე ნაკლების მქონე) ან შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით.
ზუგდიდი	- სოციალურად დაუცველი (65 001 ქულაზე ნაკლების მქონე) სტუდენტების მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება წელიწადში ერთხელ 200 ლარის ოდენობით. - მერის სტიპენდია მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის.[26]
თეთრიწყარო	- მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის ფულადი პრემიის გადაცემა სემესტრულად 500 ლარის ოდენობით; - ფულადი პრემიის გადაცემა (500 - 1 000 ლარის ოდენობით) იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში და მოიპოვეს სახელმწიფო დაფინანსება 50 – 100 %-ის ოდენობით.
თიანეთი	- სტუდენტთა ფინანსური დახმარება; - მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების ფულადი დახმარება.[27]
კასპი	ცალკეული კატეგორიის სტუდენტთა *(რომლებიც არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით (გარდა ერთიანი ეროვნულ გამოცდების შედეგად მიღებული გრანტისა) და რომლებიც არიან: 1. ობოლი; 2. მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახიდან; 3. სოციალურად დაუცველ ოჯახში (65 001 ქულაზე ნაკლები) მცხოვრები)* ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.
ლაგოდეხი	- ცალკეული კატეგორიის სტუდენტთა *(მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი მკვეთრად შშმ სტუდენტების ან/და დედ-მამით ობოლი სტუდენტების)* სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 ლარის ოდენობით. - მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ერთჯერადი ფინანსური წახალისება 1000 ლარის ოდენობით; - 2022-2023 სასწავლო წელს საჯარო სკოლის დასრულების შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერადი წახალისება (400 – 600 ლარის ოდენობით).
მარნეული	- მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ფინანსური წახალისების მიზნით მერის ჯილდოს გადაცემა;[28] - აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა.
მარტვილი	ცალკეული ჯგუფის წარმომადგენელი სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება *(მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 1. დედ-მამით ობოლი სტუდენტი (2 000 ლარი); 2. მარჩენალდაკარგული, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (65 001 ქულაზე ნაკლები) ან/და შშმ პირი (1 000 ლარი)).*
ნინოწმინდა	- 26 წლამდე მარჩენალდაკარგული სტუდენტებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 1 250 ლარის ოდენობით; - მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ერთჯერადი ფინანსური წახალისება 500 ლარის ოდენობით.
ოზურგეთი	მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებზე მერის სტიპენდიის გაცემა.[29]

[26] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

[27] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დახმარების არც ერთ კომპონენტთან მიმართებით არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

[28] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

[29] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

ონი	მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებზე მერის სტიპენდიის გაცემა.[30]
საგარეჯო	ცალკეული კატეგორიის სტუდენტთათვის *(სოციალურად დაუცველი 1. მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, 2. ობოლი, 3. მარტოხელა მშობლის შვილები ან/და 4. შშმ სტატუსის მქონე სტუდენტი. ასევე, სტუდენტი, რომელსაც შშმ სტატუსის მქონე მშობლები ჰყავს ან მისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში (100 001 ქულაზე ნაკლები))* გათვალისწინებულია სწავლის საფასურის თანადაფინანსება 1 000 ლარამდე თანხით.
სამტრედია	- ცალკეული კატეგორიის სტუდენტთათვის *(1. ობოლი; 2. მრავალშვილიანი ოჯახებიდან (4 ან მეტი შვილი); 3. სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (65 001 ქულაზე ნაკლები; 4. შშმ სტუდენტები))* ერთჯერადი დახმარება 1 000 ლარის ოდენობით. - იშვიათი დაავადებებისა და სისტემატური მკურნალობის საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის *(1. ობოლი, 2. მრავალშვილიანი ოჯახებიდან (4 ან მეტი შვილი); 3. სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (65 001 ქულაზე ნაკლები); 4. მარტოხელა მშობლების შვილები)* ყოველთვიური დახმარება 400 ლარის ოდენობით. - მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების ფულადი დახმარება.[31]
საჩხერე	სწავლის საფასურის თანადაფინანსება შემდეგი კატეგორიის ჯგუფებისათვის: - ობოლი (700 ლ); - მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე მშობლის შვილი ან/და მრავალშვილიან ოჯახში (4 ან მეტი 21 წლამდე შვილი) მცხოვრები (700 ლარი); - სოციალურად დაუცველ ოჯახში (100 001-ზე დაბალი) მცხოვრები (700 ლარი); - დევნილის ან/და შშმ სტატუსის მქონე მშობლის შვილები (700 ლარი); - შშმ სტატუსის მქონე სტუდენტები (1 000 ლარი).
სიღნაღი	ცალკეული კატეგორიის სტუდენტების *(ობოლი, მრავალშვილიანი ოჯახების წევრი ან/და სოციალურად დაუცველი)* სწავლის გადასახადის 50 %-ის დაფინანსება, არაუმეტეს 1125 ლარისა.
ქარელი	ცალკეული კატეგორიის სტუდენტებისთვის *(1. მარჩენალდაკარგული, 2. მკვეთრად გამოხატული შშმ პირის სტატუსის მქონე; 3. მკვეთრად გამოხატული შშმ პირის შვილი; 4. მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის ან/და სოციალურად დაუცველი (50 001 ქულამდე) ოჯახების)* სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 ლარის ოდენობით.
ქედა	- ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 50 - 100 % გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება 500 – 1000 ლარის ოდენობით; - ე.წ. ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის სტატუსის მქონე სტუდენტებზე სტიპენდიის გაცემა ერთჯერადად 400 – 500 ლარის ოდენობით.
ქობულეთი	- მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთათვის სტიპენდია სემესტრში 400 ლარის ოდენობით. სოციალურად დაუცველი ოჯახებში მაცხოვრებელთა (100 001 ქულამდე), ობლის ან მრავალშვილიანი ოჯახების შემთხვევაში (200 001 ქულამდე) ან/და შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სტიპენდია სემესტრში 800 ლარს შეადგენს. - ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100 % გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება, არაუმეტეს 2000 ლარისა.

[30] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

[31] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

ყაზბეგი	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები ცალკეული კატეგორიის სტუდენტების *(საარსებო შემწეობის მიმღები, ობოლი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მედალოსანი ან/და იმ ოჯახის წევრი, სადაც ორი ან მეტი სტუდენტი ცხოვრობს)* სწავლის დაფინანსება. დაფინანსების მიღება ასევე შეუძლიათ 28 წლამდე ასაკის სტუდენტებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სწავლობდნენ.
წალენჯიხა	- მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება;[32] - საზაფხულო დასაქმება სტუდენტებისთვის (3 თვის მანძილზე, ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით).
წყალტუბო	იმ სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომელთაც აქვთ შშმ სტატუსი ან/და რომელთა სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების გარდაცვალების, უგზოუკვლოდ დაკარგვის, მარჩენლის დაკარგვის გამო. თანადაფინანსება განისაზღვრება საფასურის ნახევრის, თუმცა არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით.
ქიათურა	მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების დაჯილდოება.[33]
ხაშური	- ცალკეული კატეგორიის სტუდენტების *(1. სოციალურად დაუცველი (65 001 ქულამდე); 2. საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში, აგრეთვე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა შვილები)* სწავლის საფასურის დაფინანსება 800 ლარის ოდენობით. - მიმდინარე წელს 100%-იანი გრანტით ჩარიცხული სტუდენტების დაჯილდოება.[34]
ხელვაჩაური	მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების ხელშეწყობა.[35]

საბოლოო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით 37 მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების საერთო რაოდენობის 57.8 %) ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს. თუმცა,

- ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს სტუდენტების მხარდაჭერის (მათ შორის, ფულადი დახმარების) ერთგვაროვანი პოლიტიკა და ხედვა, რომელიც მსგავსი საჭიროების მქონე ადამიანებისათვის მხარდაჭერის მსგავს პაკეტს გაითვალისწინებდა. ხოლო მუნიციპალიტეტების გარკვეული ნაწილი სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ითვალისწინებს გარკვეულ მექანიზმებს (იხ. ცხრილი 2), ზოგიერთი 27 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ამგვარ პროგრამას საერთოდ არ იცნობს. ეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მსგავსი საჭიროების მქონე სტუდენტებს და ზეგავლენას ახდენს განათლების უფლების განხორციელებაზე;

[32] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

[33] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

[34] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

[35] შენიშვნა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ არის მითითებული თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა.

- მუნიციპალიტეტების ნაწილი ითვალისწინებს ფინანსური მხარდაჭერის/წახალისების მექანიზმებს *მხოლოდ* მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტების დახმარების ეფექტიან და ადეკვატურ მექანიზმად, რადგან როგორც საცხოვრისის საჭიროეების მქონე სტუდენტებმა აღნიშნეს, ფინანსური პრობლემების გამო უწევთ დიდი დატვირთვით მუშაობა, რაც, საბოლოო ჯამში, მათი სწავლის ხარისხსა და აკადემიურ მოსწრებაზე უარყოფითად აისახება.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადოდ მხარდაჭერის პირობებში, სტუდენტებს, რომელთაც საცხოვრისის საჭიროებას ვერ ან რთულად იკმაყოფილებენ, ერთმევათ უმაღლეს განათლებაზე წვდომის შესაძლებლობა, რაც შემდგომ მათ სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

3. საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა

სტუდენტებისთვის საცხოვრისის უზრუნველყოფა გლობალური მასშტაბითაც უმნიშვნელოვანესი საკითხია. არაერთი ანგარიშის მიხედვით, სტუდენტურ საცხოვრისებზე არასათანადო მისაწვდომობა, საცხოვრისის რაოდენობის სიმწირე, ისევე, როგორც ბინის ქირის ღირებულების ზრდა, არსებითი გამოწვევაა არაერთ ქვეყანასა და ქალაქში, მათ შორის, ევროპის მასშტაბით.[36] კიდევ ერთი გამოწვევა სტუდენტური საცხოვრისის ბაზარზე კერძო აქტორების მონოპოლიაა, რაც არსებითად აფერხებს ამ ჯგუფის წარმომადგენელთა წვდომას საცხოვრისზე.[37]

სხვადასხვა ტიპის საჭიროების ფონზე, არაერთ ქვეყანას აქვს მექანიზმები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი საცხოვრისის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესებს ხელს უწყობს და აჩქარებს სტუდენტთა კავშირებისა და მოძრაობების ადვოკატირების კამპანიები, რომელიც, ძირითად შემთხვევებში, მიემართება:[38]

- სტუდენტური საცხოვრისების მშენებლობასა და არსებულის გაფართოებას;
- სტუდენტების უკეთეს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შექმნას, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას, ჰქონდეთ საცხოვრისის ქირაობის უკეთესი ფინანსური შესაძლებლობა;
- სტუდენტური საცხოვრისების ღირებულების რეგულირებას;
- სტუდენტური საცხოვრისების ადეკვატური მდებარეობის უზრუნველყოფას (უნივერსიტეტების ახლოს)
- სტუდენტურ საცხოვრებლებში ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფას;
- სტუდენტური საცხოვრისების მისაწვდომობის უზრუნველყოფას შშმ პირებისათვის;
- დამქირავებლების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაძლიერებას;
- საცხოვრისთან, მათ შორის, ქირავნობასთან, დაკავშირებით არსებული რეგულაციებისა და ამ სფეროში არსებული უფლებების შესახებ სტუდენტების ინფორმირების უზრუნველყოფას;
- საცხოვრისის ბაზარზე დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფას;
- საცხოვრისთან დაკავშირებით არსებული ბიუჯეტის გამჭვირვალობას.

[36] European Students' Union, Students' Housing in Europe, Info-sheet, 2019, გვ. 2, 5 – 15, 17-18.
[37] იქვე, გვ. 6.
[38] იქვე, გვ. 2, 5, 7 – 15, 17-19; European Students' Union, Statement on Housing and Transport, 2021, https://bit.ly/3ZMq98w; Boroumand K., What the UK Student Rent Strikes Reveal about Financialization, 2021, https://bit.ly/3HfDSh1.

ადვოკატირების ზემოაღნიშნული მიმართულებების პარალელურად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების მოშველიებაც, რომელიც სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულებების დაწესების პარალელურად, განმარტავს საცხოვრისის ადეკვატურობის ცნებას. განმარტების თანახმად, ადეკვატური საცხოვრისი არ ნიშნავს მხოლოდ ფიზიკური გარემოთი ადამიანის უზრუნველყოფას. იგი გულისხმობს დისკრიმინაციის გარეშე, უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ გარემოში ცხოვრებას, ასევე, იმ გარემოში ცხოვრებას, სადაც უზრუნველყოფილია მფლობელობის სამართლებრივი გარანტირება, ფინანსური ხელმისაწვდომობა, საცხოვრისად გამოსადეგობა, კულტურული ადეკვატურობა, მისაწვდომობა, სათანადო ლოკაცია, რელევანტური სერვისების მისაწვდომობა.[39]

3.1. სახელმწიფოთა ზოგადი პრაქტიკა

სტუდენტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის მხრივ სახელმწიფოთა პრაქტიკა განსხვავებულია, რაც, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკის პრიორიტეტებით არის განპირობებული. სტუდენტთა მიმართ ამ სფეროში არაერთგვაროვანი პოლიტიკის, ასევე, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა, პერსონალური პრეფერენციები და ცხოვრების სტილი, ასაკი, ფინანსური მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, მისაწვდომი საცხოვრისების არსებობა, ისევე, როგორც სოციალური და კულტურული ნორმები, ამ ჯგუფის წარმომადგენელთა გამოცდილებები საცხოვრისთან მიმართებით განსხვავებულია.[40] მაგალითისთვის, ევროსტუდენტის მიერ 2019 წელს ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, სტუდენტთა საცხოვრებელი გარემოს მხრივ რამდენიმე ძირითადი პრაქტიკა გამოიკვეთა:[41]

- მშობლებთან ერთად ცხოვრება (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი: იტალია (68.2 %); მალტა (63.3 %) და საქართველო (62.2 %));
- სტუდენტურ საცხოვრისში ცხოვრება (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი: თურქეთი (44.5 %); შვედეთი (30.7 %); ნიდერლანდები (29.8%));
- პარტნიორთან/ბავშვებთან ერთად ცხოვრება (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი: ისლანდია (43.6 %); დანია (41.9 %); ფინეთი (40 %));
- სხვა პირ(ებ)თან ერთად ცხოვრება (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი: ავსტრია (25.3 %); ნორვეგია (23.5 %); პორტუგალია (21.5 %));
- მარტო ცხოვრება (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი: საფრანგეთი (26.3 %); ფინეთი (25.3 %) და ავსტრია (16.3 %)).

მიუხედავად გლობალური მასშტაბით ერთიანი მიდგომების არარსებობისა, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომელზე განგრძობადი მუშაობაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ამ ჯგუფის წარმომადგენელთათვის საცხოვრისზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

---

[39] გაეროს პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1966, მ. 11; იხ. ასევე, Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, and on the right to non-discrimination in this context, A/73/310/Rev.1, 2018, პარ. 21.

[40] Eurostudent, Eurostudent VII Synopsis of Indicators 2018 – 2021, 2021, გვ. 226.

[41] იხ. Eurostudent, Students' Housing Situation, https://bit.ly/3WhFlrr.

- *<u>სტუდენტური საცხოვრისები</u>*

სტუდენტური საცხოვრისების ფუნქციონირებას არაერთი ქვეყნის პოლიტიკა და პრაქტიკა ითვალისწინებს. ამგვარი საცხოვრებლის სერვისპროვაიდერები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება და შეიძლება, იყვნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (მაგ. ესტონეთი, ლატვია, ლიტვა), სოციალური გამქირავებლები/საცხოვრისის ასოციაციები (მაგ. ნიდერლანდები, საფრანგეთი, იტალია), ნახევრად კერძო ორგანიზაციები (მაგ. გერმანია) ან ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციები/ფონდები.[42] როგორც წესი, ყველა აქტორი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან.[43]

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ესტონეთი და ნორვეგია, სტუდენტური საცხოვრისების სერვისპროვაიდერები არასამთავრობო/საქველმოქმედო ორგანიზაციები არიან, ხოლო სტუდენტები წარმოდგენილნი არიან ამ ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიმღებ მექანიზმებში, რაც მათი საჭიროებების გათვალისწინების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს.[44]

იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტური საცხოვრისების რაოდენობა, შესაძლოა, სრულად არ პასუხობდეს საცხოვრისის საჭიროების მქონე სტუდენტების მოცულობას, სხვადასხვა ქვეყანას დაწესებული აქვს სერვისით სარგებლობის კრიტერიუმები. მაგალითისთვის, ხორვატიაში, სტუდენტურ საცხოვრისში ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას (სტუდენტური საცხოვრისების 65 % დაბალშემოსავლიანი სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი[45]), ასევე, მათ ორმაგ მოწყვლადობებსაც (მაგ., შშმ პირის სტატუსი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლობა, ორსულობა ან/და შვილების ყოლა).[46] დამატებით, ქვეყნის მეცნიერებისა და განათლების მინისტრი გაწერს საცხოვრისში პირდაპირი წესით ჩარიცხვის წინაპირობებს იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით, სისტემაში ვერ მოხვდნენ, თუმცა სერვისში ჩარიცხვის წინაპირობებს აკმაყოფილებენ.[47]

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და შემოსავლების არაერთგვაროვნება გათვალისწინებულია ესტონეთშიც, სადაც სტუდენტურ საცხოვრებლებში არსებული ბინების საფასური ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა, გათვალისწინებულია სერვისის ბენეფიციართა წინაშე არსებული გამოწვევებიც.[48]

- *<u>ბინის ქირისა/საცხოვრისის სუბსიდიისა და სოციალური საცხოვრისის პროგრამები</u>*

ცალკეულ ქვეყნებში სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია საცხოვრისის სუბსიდიები/ბინის ქირის სერვისი. მაგალითად, ფინეთში, ამგვარი სუბსიდია არსებობს საცხოვრისის ზოგადი ბენეფიტის სახით, რომელიც მოქალაქეთა სოციალური დახმარების ერთ-ერთ ფორმად გვხვდება და

[42] FEANTSA, Sixth Overview of Housing Exclusion in Europe, 2021, გვ. 57; European Students' Union, Students' Housing in Europe, Info-sheet, 2019, გვ. 8, 13-14, 16 – 17.
[43] FEANTSA, Sixth Overview of Housing Exclusion in Europe, 2021, გვ. 57.
[44] European Students' Union, Students' Housing in Europe, Info-sheet, 2019, გვ. 8, 16.
[45] იქვე, გვ. 7.
[46] იქვე, გვ. 6.
[47] იქვე, გვ. 6.
[48] იქვე, გვ. 8.

რომელიც ითვალისწინებს საცხოვრისის ხარჯების 80%-ის დაფარვას.[49] მხოლოდ 40%-მდე იფარება საცხოვრისის ხარჯი სახელმწიფოს მხრიდან რუმინეთშიც, თუმცა, აღნიშნული დანაკლისის კომპენსირებისთვის ქვეყანაში ფუნქციონირებს უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც საცხოვრისის ხარჯებს 100 %-მდე ფარავენ.[50] საცხოვრისის ბენეფიტს ითვალისწინებს ასევე ახალი ზელანდიის პოლიტიკაც, რომელიც იმ სტუდენტებს მიემართება, რომელთაც არ ჰყავთ მომუშავე პარტნიორი და რომლებიც არ არიან სოციალური დაქირავებული საცხოვრისის ბენეფიციარები. ბენეფიტის რაოდენობა კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში ერთი ოთახის ქირავნობის საშუალო ღირებულებას შეესაბამება.[51]

მიუხედავად საცხოვრისის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის მნიშვნელობისა, არაერთი აქტორი უსვამს ხაზს **ბინის ქირის გადასახადის გონივრული რეგულირებისა** და ამ სფეროში საკანონმდებლო ღონისძიებების მიღების მნიშვნელობას, რაც მესაკუთრისა და საცხოვრისით მოსარგებლის ინტერესებს დაუბალანსებდა და უზრუნველყოფდა სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის, სტუდენტების საცხოვრისზე განგრძობადი წვდომის შენარჩუნებას.[52]

ბინის ქირის სერვისის პარალელურად, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკა ითვალისწინებს სტუდენტების უზრუნველყოფას სოციალური საცხოვრისის სერვისით. მაგალითისთვის, დანიის სოციალური საცხოვრისის სისტემას მასში ჩართვისათვის მინიმალური წინაპირობები გააჩნია და მომლოდინეთა სია ღიაა საცხოვრისის საჭიროების მქონე 15 წელზე მეტი ასაკის მქონე პირებისათვის.[53] საბინაო ფონდის არსებობის პირობებში, ადგილობრივ ხელისუფლებას ენიჭება უფლებამოსილება, საცხოვრისის მწვავე საჭიროების მქონე ადამიანები უზრუნველყოს მის ხელთ არსებული გამოუყენებელი საცხოვრისების 25%-ით.[54] ამ შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა, მაგალითად, სტუდენტები, ხანდაზმულები, შშმ პირები, ბავშვიანი ოჯახები, განქორწინებული პირები, ლტოლვილები, ან ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ სამუშაო ადგილთან უფრო მეტი გეოგრაფიული სიახლოვე.[55]

საცხოვრისის უზრუნველყოფის პოლიტიკაში სტუდენტების, როგორც მნიშვნელოვანი ჯგუფის გათვალისწინების მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საბერძნეთის მაგალითი, რომელმაც 2022 წელს საზოგადოებას წარუდგინა სოციალური საცხოვრისის ჩარჩო სტრატეგია „ჩემი სახლი!“ (My Home!), რომელიც ითვალისწინებს არაერთი ღონისძიების განხორციელებას საცხოვრისის ფინანსური ხელმისაწვდომობის (როგორც შეძენის, ისე ქირავნობის თვალსაზრისით) ზრდას.[56] მაგალითისთვის, სტრატეგიამ გაითვალისწინა საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის სტუდენტთა ფინანსური დახმარების ზრდა (1000-დან 1500 ევრომდე; თანაცხოვრების შემთხვევაში - 2000 ევრო), ასევე, ახალი სტუდენტური საცხოვრისების მშენებლობა ქვეყნის ხუთ რეგიონში.[57]

---

[49] იქვე, გვ. 9.
[50] იქვე, გვ. 18.
[51] OECD, Affordable Housing Database, Key Characteristics of Housing Allowances, https://bit.ly/3iHXpNx.
[52] European Students' Union, Statement on Housing and Transport, 2021, https://bit.ly/3ZMq98w.
[53] OECD, Brick by Brick: Building Better Housing Policies, 2021, Chapter 8; https://bit.ly/3XxdlSd.
[54] იქვე.
[55] იქვე; იხ. ასევე, OECD, Social Housing: A Key Part of Past and Future Housing Policy, 2020, გვ. 8.
[56] იხ. OECD, Affordable Housing Database, Housing Policy Objectives and Obstacles, https://bit.ly/3QP0bNQ; eRED, "The framework of the Social Housing Strategy, "My home!", 2022, https://bit.ly/3Hc9T9R.
[57] eRED, "The framework of the Social Housing Strategy, "My home!", 2022, https://bit.ly/3Hc9T9R.

როგორც შეძენის, ასევე, ქირის შემთხვევაში სხვადასხვა ჯგუფებზე,[58] მათ შორის, სტუდენტებზე, სპეციალური სუბსიდიების გაცემას ასევე ითვალისწინებს საფრანგეთის საცხოვრისის პოლიტიკა.[59] კერძოდ, ფულადი დახმარება გაიცემა იმ პირებზე, რომლებსაც უწევთ იპოთეკური სესხის ან ბინის ქირის საფასურის გადახდა.[60] დამატებით, ისლანდიის მთავრობამ ჯერ კიდევ 2017 წელს, სხვა ღონისძიებებთან ერთად, სპეციალურად სტუდენტებისთვის დააანონსა ბინის ქირის ბენეფიტის ზრდა, ისევე, როგორც ფინანსურად ხელმისაწვდომი საცხოვრისების მშენებლობა.[61]

- *<u>საცხოვრისი სერვისის სანაცვლოდ</u>*

საცხოვრისით უზრუნველყოფის სხვადასხვა ტიპის მექანიზმთან ერთად, ქვეყნების გამოცდილების შესწავლისას გვხვდება სტუდენტებისათვის მოქალაქეთა მხრიდან საცხოვრისით სარგებლობის შეთავაზების შემთხვევები. ამგვარ მაგალითს წარმოადგენს შვეიცარიის შემთხვევა, სადაც ხანდაზმული ან/და მარტოხელა ადამიანები სტუდენტებს უზრუნველყოფენ საცხოვრისის გამოუყენებელი სივრცით სტუდენტების მხრიდან მხარდაჭერის/დახმარების *არაფორმალური სერვისის* სანაცვლოდ.[62]

- *<u>საცხოვრისი უსახლკარო სტუდენტებისთვის</u>*

უსახლკარობის გამოცდილების მქონე სტუდენტების საცხოვრისით უზრუნველყოფის მხრივ საინტერესო გამოცდილება არსებობს დანიაში, სადაც ფუნქციონირებს „სახლი ყველასთვის“ ალიანსი, რომელიც ახალგაზრდებს შორის უსახლკარობის აღმოფხვრაზეა ფოკუსირებული. იგი შედგება სამოქალაქო საზოგადოების, საჯარო და კერძო სექტორის 19 აქტორისგან და უზრუნველყოფს საცხოვრისის მისაწვდომობას იმ უსახლკარო ადამიანებისათვის (18-29 წლის), რომელთაც უახლოეს მომავალში (დაახლოებით 1-2 წელიწადი) აქვთ უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართვის სურვილი.[63] აღსანიშნავია, რომ სერვისში არა მხოლოდ საცხოვრისით უზრუნველყოფა იგულისხმება, არამედ მხარდამჭერი ქსელის შექმნა და შესაბამისი სერვისების მიწოდება, ხოლო საცხოვრისის ალოკაცია სახელმწიფო ან კერძო აქტორების საკუთრებაში არსებული სტუდენტური საცხოვრისიდან ხდება – ალიანსი არსებული საცხოვრისების 10%-ს ქირაობს თავისი ბენეფიციარებისათვის გადასაცემად.[64]

საერთაშორისო დონეზე სტუდენტების საცხოვრისით უზრუნველყოფის სხვადასხვა ტიპის მექანიზმის პარალელურად მნიშვნელოვანია, კარგ პრაქტიკად იქნას მიჩნეული მთავრობის მიერ ამ **სფეროში კვლევების ჩატარება**. მაგალითისთვის, ამგვარ აქტივობას ახორციელებს ფინეთის მთავრობა, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.[65] ამას გარდა, ერთმნიშვნელოვნად არსებით საკითხად უნდა ჩაითვალოს სტუდენტურ გაერთიანებებსა და რელევანტურ უწყებებს შორის **კოორდინაციის/კონსულტაციების კულტურა**, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტური საცხოვრისების მიმართულებით არსებული გამოწვევების გამოკვეთასა და საჭიროებაზე მორგებული ღონისძიებების განხორციელებას. ამგვარ

[58] მაგ., ბავშვიანი ოჯახები, შშმ პირები, ბავშვიანი ოჯახები.
[59] OECD, Affordable Housing Database, Key Characteristics of Housing Allowances, https://bit.ly/3iHXpNx.
[60] იქვე.
[61] European Commission, Iceland: Efforts to Increase Supply of Family Housing, ESPN Flash Report 2017/59, 2017, გვ. 2.
[62] European Students' Union, Students' Housing in Europe, Info-sheet, 2019, გვ. 19.
[63] Housing Solutions Platform, 50 Out-of-the-Box Housing Solutions to Homelessness and Housing Exclusion, 2019, გვ. 8 – 9.
[64] იქვე, გვ. 8.
[65] European Students' Union, Students' Housing in Europe, Info-sheet, 2019, გვ. 10.

შესაძლებლობას ითვალისწინებს მაგალითად, ფინეთის, ნიდერლანდებისა და ნორვეგიის პოლიტიკა.[66]

3.2. კერძო აქტორების როლის მიმოხილვა

საცხოვრისით უზრუნველყოფა სახელმწიფოს არსებით ვალდებულებას წარმოადგენს, თუმცა მნიშვნელოვან ფინანსებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, დღის წესრიგში დგება კერძო აქტორების ფინანსური ან/და ადამიანური რესურსებით კონტრიბუციების საკითხი.

კერძო აქტორების როლის მიმოხილვისას არსებით საკითხს წარმოადგენს საჯარო და კერძო პარტნიორობის ფორმატი. ამგვარი თანამშრომლობის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს არაერთი ქვეყანა – მაგალითად, საბერძნეთის სოციალური საცხოვრისის ჩარჩო სტრატეგით – მოცემული მექანიზმის ფარგლებში, 2023-2027 წლებში, 8 150 სტუდენტისთვის იგეგმება საცხოვრისების მშენებლობა, რაც ჯამში 540 მლნ. ევრომდე დაჯდება.[67]

მიუხედავად მოკლე ვადებში საცხოვრისის რაოდენობის ზრდისათვის დიდი ფინანსური რესურსების საჭიროებისა, რისი ალოკაციისათვისაც სახელმწიფოს შესაძლებელია კერძო აქტორებთან თანამშრომლობა დასჭირდეს, აუცილებლად გასათვალისწინებელია საცხოვრისის ფინანსიალიზაციის პრევენციის საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტებისათვის საცხოვრისის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესაძლებლობები პრაქტიკულად ქრება.

საცხოვრისის ფინანსიალიზაცია გლობალური მასშტაბით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რომელიც საცხოვრისის სექტორში ფინანსური ბაზრისა და კორპორაციების მზარდმა როლმა და უპრეცედენტო დომინაციამ გააჩინა.[68] ფინანსიალიზაციის შედეგად საცხოვრისი კარგავს თავის სოციალურ შინაარსს, მხოლოდ კაპიტალისა და სიმდიდრის დაგროვების მექანიზმად აღიქმება და უგულებელყოფს სათანადო საცხოვრებლის უფლებრივ სტანდარტებს.[69] ფინანსიალიზაციის შედეგად, საცხოვრისის ბაზარი პრაქტიკულად მთლიანად ინვესტორების, კერძო სუბიექტების პრეფერენციებს ერგება და მხედველობაში არ იღებს სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების საჭიროებებს, რაც კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოებაში არსებულ სოციალურ უთანასწორობასა და ექსკლუზიას.[70]

ფინანსიალიზაცია არ არის უცხო სტუდენტური საცხოვრისებისთვისაც.[71] მოცემული სერვისების მიწოდებაში კერძო აქტორების, მათ შორის, გლობალური ინვესტორების შემოყვანამ არაერთ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაზარდა ბინის დაქირავების საფასური, რამაც ახალგაზრდების კიდევ უფრო დიდი სოციალური ექსკლუზია და უსახლკარობა გამოიწვია.[72] მეტიც, მაგალითად დიდ

---

[66] იქვე, გვ. 10, 16.
[67] eRED, "The framework of the Social Housing Strategy, "My home!", 2022, https://bit.ly/3Hc9T9R.
[68] Report of the Special Rapporteur on Adequate Housing as a Component of the Right to an Adequate Standard of Living, and on the Right to Non-discrimination in this Context, A/HRC/34/51, 2017, პარ. 1.
[69] იქვე, პარ. 1 – 3, 7.
[70] იქვე, პარ. 31, 34 – 38.
[71] FEANTSA, Sixth Overview of Housing Exclusion in Europe, 2021, გვ. 58.
[72] Reynolds A., Contesting the Financialization of Student Accommodation: Campaigns for the Right to Housing in Dublin, Ireland, "Housing Studies", 2022, გვ. 4; Revington N., August M., Making a Market for Itself: The Emergent Financialization of Student Housing in Canada, "Environment and Planning A: Economy and Space", Vol. 52 (5), 2020; Boroumand K., What the UK Student Rent Strikes Reveal about Financialization, 2021, https://bit.ly/3HfDSh1.

ბრიტანეთში, მიუხედავად COVID-19-ის პანდემიისა და მისი ეფექტებისა, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებს კიდევ უფრო მეტად უჭირთ საცხოვრისის საფასურის გადახდა, კერძო კორპორაციებმა, რომლებიც სერვისპროვაიდერებს წარმოადგენენ, კვლავ გააგრძელეს ქირის თანხის ზრდა.[73]

დასკვნა - რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას უახლოეს მომავალში?

საცხოვრისს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი, მულტიფუნქციური როლი აკისრია და არა მხოლოდ ფიზიკური გარემოთი უზრუნველყოფასთან, არამედ სხვადასხვა სიკეთესთან, მათ შორის, განათლებაზე, შეუფერხებელ წვდომასთან არის დაკავშირებული.[74] ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე, დგება უმოკლეს ვადებში სტუდენტური საცხოვრებლის პოლიტიკის შემუშავებისა და ეფექტიანი იმპლემენტაციის საჭიროება, რომელიც გავრცელდება საქართველოში არსებულ ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტზე და მათთვის მათ საჭიროებებზე მორგებული საცხოვრისის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ეროვნული და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, ასევე, საცხოვრისის ხელმისაწვდომობის საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ სფეროში შექმნილი გამოწვევების მოგვარების რომელიმე ერთი გზის არჩევის ნაცვლად, ღონისძიებები რამდენიმე მიმართულებით განახორციელოს. კერძოდ, მნიშვნელოვანია:

- მოხდეს სტუდენტებისთვის საცხოვრისის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი უწყებების იდენტიფიცირება და მათ მიერ ამ სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება;

- რელევანტურმა სახელმწიფო უწყებებმა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად, იზრუნონ ადეკვატური და ფინანსურად ხელმისაწვდომი სტუდენტური საცხოვრისების აშენებასა და ღირსეული პირობების უზრუნველყოფაზე. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტური საცხოვრებლების სამიზნე მოცულობა შეესაბამებოდეს საცხოვრისის საჭიროების მქონე სტუდენტების (სტუდენტები, რომელთა მუდმივი საცხოვრებელიც არ ემთხვევა უნივერსიტეტის ფუნქციონირების მისამართს, ასევე, უცხოელი სტუდენტები) რაოდენობას და იზრდებოდეს სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად;

- გამოვლინდნენ საცხოვრისით სტუდენტების უზრუნველყოფის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ კვლევაზე პასუხისმგებელი უწყებ(ებ)ი, რომლებიც ამ სფეროში სისტემატურად ჩაატარებენ კვლევებს, რასაც შემდგომ სახელმწიფო უწყებების მისაღები ღონისძიებები დაეფუძნება;

- სტუდენტების საცხოვრისით უზრუნველყოფის მხრივ პასუხისმგებელ აქტორებსა და სტუდენტებს/სტუდენტურ გაერთიანებებს შორის არსებობდეს საკოორდინაციო პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრისის სფეროში არსებული გამოწვევების გამოკვეთასა და მის აღმოსაფხვრელად ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას;

[73] Boroumand K., What the UK Student Rent Strikes Reveal about Financialization, 2021, https://bit.ly/3HfDSh1.
[74] Eurostudent, Eurostudent VII Synopsis of Indicators 2018 – 2021, 2021, გვ. 226.

- მუნიციპალიტეტების მიერ (ის მუნიციპალიტეტები, რომელთა ტერიტორიაზეც ფუნქციონირებს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები), ბინის ქირის სერვისის შექმნა, ან ასეთი პროგრამის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების მიერ სერვისით სარგებლობის მიზნით, ამ ჯგუფის წარმომადგენლებისთვის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის სავალდებულო მოთხოვნის მოხსნა;

- ღონისძიებების მიღება ბინის ქირის საფასურის რეგულირებასთან დაკავშირებით, სულ მცირე, მოწყვლად პირებთან (მათ შორის, სტუდენტებთან) მიმართებით;

- როგორც ცენტრალური, ისე მუნიციპალური ხელისუფლების მიერ, თავიანთ პოლიტიკასა და ბიუჯეტებში სტუდენტების მომეტებული სოციალურ - ეკონომიკური მოწყვლადობისა და მათი მხარდაჭერის აუცილებლობის ადეკვატური გათვალისწინება. ამ მიზნით მნიშვნელოვანია, მოხდეს სტუდენტების მდგრადი ეკონომიკური გაძლიერების (მათ შორის, მათ საჭიროებებზე მორგებული დასაქმების ხელშეწყობის) მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ დონეზე სტუდენტების სოციალური მხარდაჭერის პაკეტის ერთგვაროვანი სტანდარტი განისაზღვროს, რომელსაც შემდგომ მუნიციპალიტეტები გამოიყენებენ.